F 75
1922

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაპოლეონი

სახელმწიფო გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

| | | |
|---|---|---|
| | | გვერ. |
| 1. | გაზაფხული სურ . . . . . | 1 |
| 2. | გაზაფხული,—ლექსი გ. ქუჩიშვილისა . . . | 2 |
| 3. | გაზაფხულზე,—ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი | 3 |
| 4. | რეზოს მეგობრები,—ლექსი ილ. სიხარულიძისა | 7 |
| 5. | ზარმაცი,—ხალხური ზღაპარი საბავშოდ გადაკეთებული ნ. ნაკაშიძის მიერ . . . . . | 10 |
| 6. | მურზილკას თავგადასავალი,—(შემდეგი) თარგ. ნ. დიასამიძისა . . . . . | 19 |
| 7. | გიჟი და მთვარე,—ლექსი შიო მღვიმელისა . | 23 |
| 8. | თეთრი ვირი,—(ხუმრობა) მ. იანქოშვილისა . | 25 |
| 9. | გასართობი . . . . . | 32 |

# ცისკარი

წელიწადი მე-XVIII 3-4 მარტი და აპრილი. 1922 წ.

გაზაფხული


246

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ქართველთა სახელმწიფო თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზაფხული.

ოცქრიალებს,
მოშრიალებს
მოკაზმული
გაზაფხული;
იღვიძებს და იფშვნეტს თვალებს
არემარე ჭირ-ნახული!

—

მთის ნაზარდი ნაკადული
მოწანწკარებს,
მონარნარებს;
ფესვებს ურწყავს,
წყურვილს უკლავს
ძინდვრად გაძღილ
ნორჩ მცენარეს!

—

ოოვლად სრული
სიხარული
ხილამაზე,
სიყვარული,
მოდი ჩვენსკენ ფრთებ-შესხმული,
გაზაფხული! გაზაფხული!

**გ. ჭუჩიშვილი.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გაზაფხულზე.

ღმერთო ჩემო, ეს რა მემართება? თითქო გული მისივდება, სული მეხუთება, ჰაერი აღარა მეყოფნის!..

ჩიოდა მიწაში ჩავარდნილი ბალახის თესლი, რომელსაც დღემდის ტკბილად ეძინა.

— გეთაყვა, იქით მიიწი, მეტი ჰაერი მომე, რომ არ გავიგუდო!—ამ სიტყვით მიაწვა ერთი მთვლემარე თესლი მეორეს.

— გავიწიო?! კარგია, შენმა მზემ! რომ გავიწიო, მერე სად წავიდე? ვერ უყურებ ჩვენს გარდა რამდენი არიან? მარტო შენ გეხუთება სული თუ! განა მეც აგრე არა ვარ?. მთლად გავსივდი, ლამის შუაზე გავსკდე,—უპასუხა მეორემ. ამ დროს წვიმის ცვარმა პირი დაუნამა.

— ბრრრ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ცივაააა!

— რა სინესტეა!

ათრთოლდნენ თესლები.

— იქნება ზევით ასვლის დროა, ჩვენ კი ამ სიბნელესა და სინესტეში ვიღრჩობით?—შეეკითხა ისევ პირველი.

— არა ისევ, მეძინება.

— მეშინიან იქ ჯერ ვერ ავალ. ეინვა მთლად დამაზრობს,—მოისმა ხასუხი.

— თქვენ როგორც გნებავდეთ, და მე კი წავალ!—შესძახა თამამად ენძელამ და ღონივრად გაიზმორა. დედამიწამ ქორფა პირმშოს ალერსით გაუღიმა და მისთვის ასასვლელი გზა მოუმზადა. დღითი დღე ენძელა ზევითზევით იწევდა.

— თქვენც დიდსანს ნუღარ გაჩერდებით! წამოდით: გვეძახიან, გველიან!—ჩურჩულებდა იგი. ეს ჩურჩული კი მკაფიოდ ესმოდათ სხვა თესლებს, იშმუშნებოდნენ, თვალებს იფშვნეტდენ.

— გამარჯვება, ლაჟვარდო!—შესძახა ნაზად ენძელამ და სისარულით გული აუტოკდა, როდესაც თავი ამოჭეო დედამიწიდან და დაინახა ცის თვალუწვდენელ სივრცეში როგორ ფრთოსანნი და ჭიკჭიკობდნენ დასრიალებდნენ. დედამიწაზე აქა-იქ ატირებული თოვლი მზის სხივებისგან ბრწყინავდა.

— ჩვენ აქ დავრჩებით!

— ჩვენც აქა...

— აი ჩვენი ადგილი. .

ჩურჩულებდნენ ბალახები. დღითი დღე თავიანთ წინან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ არჩეულ ადგილს იჭერდენ, ერთფერად დაღონებულ დედამიწას აფერადებდენ. მაგრამ აი ნორჩნი შეკრთნენ, რაღაც ხმაურობაზე მოიხედეს, გზაზე გოგორები მოგორავდნენ, გოგორეები კმაყოფილები არ იყვნენ.

— ღრიტ, ღრიტ! ღრიტ, ღრიტ!—ღრიტინით რაღასაც სჩიოდენ.

— ვაი რა უცნაურად ხმაურობს! მეშინია—შესძახა მელის-კუდამ და საცოდავად ათრთოლდა.

— აქედან წავიდეთ!

— წავიდეთ ჩვენს ბნელსა, მაგრამ უშიშარ ადგილზე! დედამიწა ღრმაა, ეგ ბორბოტი იქამდის ვერ ჩამოგვწვდება!

ახმაურდნენ ბალახები და შეინძრნენ, თითქო აპირებდენ ისევ მიწაში ჩაძრომას, ქვევიდან კი რაღაც ძალა ხელსა ჭერავდა, წინ სწევდა. ბალახები ატირდნენ! დედამიწას მათთვის აღარ ეცალა, ეურს არ უგდებდა.

— ღმერთს შევეხვეწოთ, აგვაცილოს ეს საშინელი უბედურება!—დაიბურჩულა მრავალძარღვამ. ამ დროს ნიავმა წამოუქროლა. გუთნის დედა ხარებს აქეთ მოერეკებოდა. მეხრეებს დაეჭირათ სახრები და შვინდასა და წაბლას ფერდებში მარდად ურტყამდენ.

საქონელი მინდორზე გაიშალა, ნორჩ ბალახს ხარბად დაუწყო ძოვნა. ესენი მცენარეთა ცრემლვას ვერა ხედავდენ, ზამთრისგან დამშეულები აბრიალებულის თვალებით ხარბად ეძებდენ სხვა ახალ ადგილზე მწვანეს.

გუთანმა ღრიტინი შესწყვიტა. ბალახებმა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ სწორედ ამ დროს იგრძნეს საშინელი ძწვავე ტკივილი; კისერში რაღაც ჩაეჭირათ და ბევრი მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განი ფესვებიანად მიწიდან ზევით ამოვარდა.

—ოოხ!—დაიკვნესეს ბალახებმა, გონებაგამიხდილნი ბელტებზე გარდიქცნენ. გუთანი კი დინჯად, აუჩქარებლად მისდევდა დანიშნულ ზოლს. მისი მჭრელი პირი ღრმად უწევდა მიწას. ხარები კუდების ქნევით, ზლაზვნით წინ მიიწევდნენ და მეხრეებიც ღიღინებდნენ.

— რა შეუბრალებლობაა!—ფიქრობდნენ ცოტა მოშორებით მეოფი ბალახები და გულ-დაწყვეტით შეჰყურებდნენ მოხნულის უშნო შავ ზოლებს, რომელიც ადგილს იჭერდა მწვანე ხასხასას მაგიერ...

,,ასე ჰგონია ჩვენს მტერსა—
არცა ხვნენ, არცა სთესვენო;
არცა გუთანი უბიათ,
არსად კალოსა ლეწვენო!''

ჰაერში წკრიალებდა გუთნის დედის ხმა. გუთანი ისევ წინ მიდიოდა.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეზოს მეგობრები

ისუა და ცუგრია
თუ რაც მეგობრებია,
ამას კარგად ხედავენ
მათი მტერ-მოყვრებია!

—

ერთმანეთს გვერდს უვლიან,
აღარც ლაპარაკობენ,
ბირს უკან კი ერთმანეთს
საარაკოდ ამკობენ:

—

ფისო ამბობს: ცუგრიამ
წიწილი შეჭამაო,
და როცა შეამჩნიეს,
ცილი მე დამწამაო!!

—

და ცუგრიას რომ ჰკითხო,
ის ცამდეა მართალი,
ფიცავს, რომ ის წიწილი
მან იპოვა დამღრჩვალი,

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთსელ, რეზიკომ სცადა
ამ საქმის გარიგება:
ისე შინაურულად
ორივეს შერიგება;

—

დაუვაკვა ცალ-ცალკე,
შემდეგ ერთად შეეარა...
ერთმანეთს აკოცნინა...
ფისომ თავი დახარა!

—

თანაც შერიგებულებს
ლხინი გადაუხადა;
დიდი ჯამი ტკბილი რძით,
ერთიც ნაჭერი ქადა!!.

—

მოუცუცქდენ უცებ ჯამს...
ნახეთ მათი შექცევა:
ქადას ღრღნიან, რძეს სვლეპენ,
წვეთიც არსად იქცევა.

—

ფისოს რაღაც არ მოსწონს
გვერდს რო უზის ცუგრია—
ასტედა, სილა გააწნა,
ება განზე მოუნგრია.

—

ცუგრიაც არ შეშინდა:
ერთი მაგრად დაჭეეფა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაუტანელ ფისოს
დაუკბინა მოლად კეფა!!

—

დაერივნენ ერთმანეთს,
და ადინეს სისხლია,
ჰურ-ღვინოზე მასჰინძელს
ურცხვად ჯერეს წისლია.

—

მაშ, მე ვიცი!—თქვა რეზომ:
თქვენს საქმეს არ ეშველა?!.
უთავაზა მათ შოლტი
და ძლივსლა გააშველა.

ილია სიხარულიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზარმაცი.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ცოლ-ქმარი. ქმარი მეტ ს მეტად ზარმაცი იყო და მთელი დღე გორაობის მეტს არაფერს აკეთებდა. ოჯახის საქმე სულ ცოლს აწვა კისერზე და დიდი გაჭირვებით ცხოვრობდნენ. ერთ გაზაფხულზე როგორც იყო ცოლმა იშოვნა თესლი და ჰურის ყანა დათესა. როდესაც ჰურის დამწიფების დრო მოვიდა, ცოლმა უთხრა ქმარს:

— ჰე, კაცო, ერთი წადი, ნახე ყანა თუ დამწიფდა, მომკა უნდა და მომკეო.

ბევრი დავიდარაბის შემდეგ ზარმაცი წავიდა, მაგრამ გზიდან დაბრუნდა და ცოლს უთხრა: ყანა სრულიადაც არ ამოსულა და არც არაფერია მოსამკალიო. ეწყინა ცოლს და თვითონ წავიდა სანახავად. ხედავს, რომ მშვენიერი ყანა მოსულა და მოსამკალიც არის. დაბრუნდა სახლში და ქმარს უთხრა:

— კაცო, იმისთანა ყანა არის—სწორედ ღვთის თვალი შიგა ტრიალებს. ასე ხომ არ უნდა დაიკარგოს, ან სამკალს წადი, ან ოჯახს მოუარეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ოჯახს მოუვლი,—უთხრა ზარმაცმა.

— მაშ კარგი, კრუხ-წიწილაზე თვალი დაიჭირე, ქორ-

მა არ წაიღოს, ფქვილი გაცერი, მჭადი გამოაცხვე. სალამოს მოვალ, ვახშამი დამახვედრეო.

წავიდა ცოლი თუ არა, ზარმაცმა იფიქრა, მოდი რამე ხერხს მოვიგონებ, თორემ მე თუ ამ კრუხ-წიწილას ვსდიე, ხომ დავიღლებიო.—ადგა, გამოიტანა კანაფი, გადაბა ერთმანეთს კრუხ-წიწილა, გაუშვა ეზოში და თვითონაც არხეინად გაგორდა.

უცებ გაჩნდა ქორი, დააფრინდა კრუხ-წიწილას და ერთიანად ეკვლა წაიღო. ზარმაცს შეეშინდა ცოლის და გამოუდგა ქორს, მაგრამ იფიქრა—ბარემ რაკი მივრბივარ, საცრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფქვილს ავიკიდებ, სირბილის დროს გაიცრება და ბუ-
ნინ წაიწევსო. აიკიდა ფქვილი საცრით და გამოუდგა ქორს.
ქორი, რასაკვირველია, ვერ დაიჭირა, ფქვილი კი სულ დაა-
ნია. დაბრუნდა შინ. რა ქნას, ცოლი მოვა, და როგორ

უთხრას, რომ ქორმა წიწილები მომტაცაო. იფიქრა, იფიქრა
და მოიფიქრა,—მოდი კვერცხები რომ გვაქვს, ჩავაწყობ ბუ-
დეში და გამოვჩეკავო. მართლაც ჩააწყო ბუდეში კვერცხები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადგა ზევიდან და დაიწყო კრუხ—კრუხი. საბოლოოდ ცოლი დაბრუნდა ეანიდან, გამოსწია კარს—უნდოდა შიგ შესულიყო: კარი დაკეტილი დახვდა. შიგნიდან კი კრუხ-კრუხი ისმის. დაუძახა ქმარს:

— კარი გამიღეო.

ზარმაცი ხასუხს არ აძლევს. კრუხუნობს.

— კარი გამიღე!—კიდევ დაუძახა ცოლმა. ზარმაცმა არც ახლა უპასუხა.

— კარი გამიღე!—მესამედ დაუძახა ცოლმა, და ხასუ-ხად მესამედაც დაიკრუხუნა ზარმაცმა. მაშინ ქალმა შეამტვრია კარი და ხედავს, რომ მისი ქმარი კვერცხებს აზის და კრუხუნობს. გაჯავრდა ცოლი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაცო ეს რა გიქნია, ამოდი ახლავე ბუდიდან.

ზარმაცმა უთხრა:

— მაშ რა მექნა, კრუს-წიწილა ქორმა წამართვა და სამაგიეროს გამოჩეკა მინდოდაო.

ცოლმა ამოიყვანა ზარმაცი ქმარი ბუდიდან და დასვა კერასთან სკამზე.

მეორე დღეს ცოლმა უთხრა:

— დღეს რას იზამ? ისევ სახლს მოუვლი, თუ ეანაში წახვალო:

ზარმაცმა იფიქრა და უთხრა:

— ეანაში წავალ, თუ დღეში სამ ქათამს დამიკლავ: ერთს სადილად, ერთს სამხრად და ერთსაც ვახშმადაო.

— შენ ოღონდ სამუშაოდ წადი, და სამს კი არა, თუ გინდა ოთხ ქათამს დაგიკლავო. დაუკლა, ორი დღის საგზალი გაატანა და გაუშვა ეანაში. წავიდა ზარმაცი ეანაში, მაგრამ აბა რას იმუშავებდა: გაგორდა ხის ძირას და ხვრინვა ამოუშვა. გაიღვიძებს, შეჭამს ქათამს და ისევ დაიძინებს. მეორე დღეს ადგა ზარმაცის ცოლი, შეჯდა ცხენზე, ჩაიცვა ვაჭკაცის ტანისამოსი, იარაღი აიხსა და წავიდა ქმრის სანახავად. რომ მიუახლოვდა, ხედავს, რომ ზარმაცს ის არის გაუღვიძია და ქათამს მიირთმევს. ეანისათვის ხელიც არ უხლია, რაც თვითონ მოიკა ის არის და ის. ქალმა დაუძახა:

— მოიკალო, ზარმაც კაცს ვეძებ. აქეთ შენსკენ მოიმასწავლეს. რომელია—მითხარი. ხელმწიფეს შვილი გაუხდა ავად, უკვდება და წამლად ასწავლეს—ზარმაცი კაცის გულღვიძლი უნდა აჭამოთ და მორჩებაო.

შეშინდა ზარმაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი ზარმაცი, მე არ მინახავს აქეთ არავინ ზარმაცი, მე კი ესეც არის მუშაობა ახლა დავიწყე, და მეტს რას მოვმკიდიო. ზარმაცმა აჩვენა ცოლის მომკილი ადგილი. ასე ცოტა ხანში მეტის მომკა ხომ არ შეიძლებოდაო. ცოლმა დაათვალიერა ნამუშავარი და თქვა:

— მართალია, დღეს მეტის მომკა არ შეიძლებოდა, მაგრამ ვინ იცის იქნება მართალს არ ამბობდე.

აბა ცრუობას როგორ ვიკადრებ. თუ გნებავთ, ჩემი ამბავი ჩემ ცოლს ჰკითხეთო.

— კარგი! — უთხრა ცხენოსანმა, მაგრამ თუ სადამოდის არ მოგიმკია ეგ ყანა, სადამოს კიდევ ჩამოვ არ და გავიგებ— შენ ხარ ზარმაცი, თუ არაო.

წავიდა თუ არა ცხენოსანი, ზარმაცი ეცა ყანას სადამოდე შეუსვენებლივ მკიდა და კიდევაც მომკა სრულიად. სადამოზე ცოლმა საჭმელი წაუღო და წავიდა. ხედავს, რომ ზარმაცი დაღლილ-დაქანცული ზის და ქშინავს და კვნესის. ცოლმა ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე რამ დაგღალაო.

ზარმაცმა უთხრა:

— დილას ერთმა ხელმწიფის კაცმა ჩამოიარა, ზარმაცკაცს ეძებდა, გულ-ღვიძლი უნდა ამოვაცალო ავადმყოფი ხელმწიფის შვილის წამლადო, და თუ ეს ეანა სალამოდის არ მოგიმკია ზარმაცი შენ იქნებიო. სალამოზე შემოგივლი, თავს მოგჭრი, გულ-ღვიძლს ამოგართმევ და წავიღებო.

ცოლმა ანუგეშა: ეანა ხომ მოგიმკია, ის შენ აღარაფერს დაგიშავებსო. ბური ძნებად შეკრეს, შინ მოიტანეს, გალეწეს და შეინახეს.

ზარმაცის ცოლს ერთი ძროხა ჰყავდა, ის იყო იმათი მარჩენალი: ყველი, რძე თუ ერბო—ამ ძროხისაგან ჰქონდათ.

ზარმაცმა მუშაობის დროს ქათმები სულ შეჭამა, და ახლა უთხრა ცოლს: ეს ძროხა დავკლათ, თორემ მე მშიერი ყოფნა არ შეძიძლიაო. ცოლმა უთხრა: — ძროხას ვერ დავკლავო.

— არა, უნდა დავკლაო, — ჩაეცივდა ზარმაცი.

ცოლმა ახლაც უარი უთხრა.

— თუ არ დაკლავ, და მოკვდებიო, — სთქვა ზარმაცმა.

— თუ მოკვდები და მოკვდი, ქვეყანა არ დაიქცევაო, — უთხრა ცოლმა.

ზარმაცი დაწვა ტახტზე, დახუჭა თვალები და თავი მოიმკვდარუნა.

ცოლმაც ვითომც დაიჯერა და მოჰყვა ტირილს, მოიუვანა მღვდელი, გააკეთებინა კუბო და გამართა ქელეხი. გასვენების წინ ცოლი მივიდა ქმართან და ჩაუჩურჩულა ეურში: გაცოცხლდი, თორემ დაგმარხავენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მკვდარი ვარ, როგორ გავცოცხლდეო.

— გაცოცხლდი, გაცოცხლდიო —ჩაეცივდა ცოლი.

— თუ ძროხას დამიკლავ, გავცოცხლდებიო—

— არ დაგიკლავო, — უთხრა ცოლმა.

— არა და—არც მე გავცოცხლდებიო.

წაასვენეს ზარმაცი და იმ საღამოს დაასვენეს საუდარში. მეორე დღეს უნდა დაემარხათ

ღამე ჩაიცვა მისმა ცოლმა თეთრი ტანისამოსი, მივიდა საუდრის კარებთან და დაიძახა:

— ახალო და ძველო მკვდრებო, მოისმინეთ, ცაში ეკლესიას აშენებენ და ერთი კვირის საშუშაო გექნებათ. ადექით ახლავე, ვინც, ახალი მკვდარი ხართ, ორას ორასი აგური უნდა აიტანოთ და ვინც ძველი ას,—ასი. გათენებამდე უნდა მოასწროთ ატანა, რომ გათენებისას ისევ ჩაწვეთ საფლავებშიო.

ზარმაცმა იფიქრა, მუშაობას ვეღარც მკვდარი ... მე დღეში სუთი აგურის ახლო მოტანაც კი მიძნელდებოდა. და ღამეში ორასი აგური ამ სიშორეს, ისიც ამისთანა აღმართში, როგორც ცა არის, როგორ უნდა ვზიდოო. წამოხტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუსვა შინისაკენ. ცოლმაც ორღობეებით აირბინა თავის სახლში, ვითომც არაფერია, ჩაწვა ლოგინში. ის დღეა და ეს დღე—ზარმაცის მოსვლა ვითომც ვერც კი გაიგო. მეორე დღეს გათენებამდის ადგა, და სანამ ცოლი ადგებოდა, ტეიდან ფიჩხიც მოიტანა და ბოსელიც გამოგავა და შეშის ჰობასაც შეუდგა. ცოლს გაეცინა და არა უთხრა რა.

ამის შემდეგ ზარმაცი არც მომკვდარა, არც ძროხის დაკვლა მოუთხოვნია და რაც ძალი და ღონე აქვს—შრომობს, ეხმარება ცოლს ოჯახში და ცხოვრობენ ტკბილად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ვარშავისკენ გამგზავრება და სასახლის პოვნა.**

ბატონებო, — სთქვა ტუჩკურდღელამ — რას ფიქრობთ წასვლაზე? აგერ ზამთარიც დადგა. გირჩევთ ავჩქარდეთ, რომ არ დავენახოთ ფიფქებს, თორემ დაგვფლავენ. რასაკვირველია წავიდეთ, — უპასუხა ყველამ ერთხმად. ტუჩგრძელამ დაურიგა ყველას ჯადოსნური წუღები და ყველა წინანდებურად სუბუქად და სწრაფად გაუდგა გზას, მეხუთე დღეს, შუა დღისას, ჯუჯები დიდ ქალაქს დაუახლოვდნენ.

— მოიცადეთ, მე გავიქცევი: გავიგებ რომელი ქალაქია და მარდათ დავბრუნდები უკან.

— წადი, წადი! — წამოიძახა ყველამ — ჩვენ ,კი მანამ დავისვენებთ და ყვავილებს მოვძებნით.

ჯუჯებმა მოასწრეს ჰირის ჩატკბანურება ევაკენ-ბიბ-ეკეთეა წვენით, რომელიც იჰოვეს შემოდგომის ნაგვიანევ ევავილებში, დაისვენეს ევავილების გვირგვინებში, შემდეგ ამვრნენ ხეებზე; ჩუმი მისანი კი ჯერ არსად სჩანდა.

ჯუჯები ძალიან შეშინდნენ—ხომ არაფერი დაემართაო? ამ დროს ეური მოჰკრეს ჩუმი მისანის მხიარულ სიმღერას.

მალე გამოჩნდა თვით ნამცეცა მომღერალიც.

— სად იყავი ამდენ ხანს? როგორ შეგვაშინე!—მიაყარეს ძმებმა საყვედური.

— მოიცადეთ, ნუ ეკირით, ეველაფერს გიამბობთ: მაცალეთ სული მოვითქვა!—ხუმრობდა ჩუმი მისანი.

— აბა, აბა, აბა!—აჩქარებდენ ძმები.

— ძმებო—დაიწყო ჩუმმა მისანმა და კუნძზე დაჯდა:— ჩვენ რუსეთის სამეფლობელოში ვართ.

— რას ამბობ, რას ამბობ? სიტყვა გააწყვეტინეს ძმებმა

— ნამდვილს გეუბნებითა. ეს ქალაქი, ჩვენს წინ რომ არის, ვარშავაა.

— ნუ თუ ეს ვარშავაა? ვაშა, ვაშა! გააწყვეტინეს სიტყვა ჯუჯებმა.

— რომ იცოდეთ, რა ლამაზი ქალაქია ვარშავა!— განაგრძო ჩუმმა მისანმა, როცა ეველანი დამშვიდდნენ;—მე იქ ეველაფერი დავათვალიერე. რა ხიდებია გადებული მდინარე ვისლაზე, რა სასახლეები და ეკლესიებია. თვითონ ქალაქში, რამდენი ბაღია!

— ნულარ ვაგვიანებთ, ჩქარა მოვემზადოთ,—ბრძანა ტუჩგძელამ.

ერთ წამში მთელი ბრბო ამ ქალაქისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუჯებმა ლაპარაკსა და კამათში ვერ შეამჩნიეს, როგორ დადგა შემოდგომის ბნელი ღამე. ცა მოიჭედა ვარსკვლავებით ჭაერი (ცივი და სუფთა იყო. თუმცა გვიან იყო, ქალაქში ხმაურობა ისმოდა. განათებულ ქუჩებში დაქროდნენ ეტლები; ქვაფენილზე ხალხი მიდი-მოდიოდა და მაღაზიის ფანჯრებში გამოფენილ ნივთებს სიამოვნებით ათვალიერებდა. ჯუჯებიც აირივნენ ამ ხალხში და მხიარულად ხითხითებდნენ მუჯლუგუნს რომ ჭკრავდენ. ყველაზე უფრო ღელავდა მურზილკა; იგი ხან გამვლელებს ათვალიერებდა, ხან ეტლებში უსტებოდა, ხან მაღაზიის ღია კარებში შედიოდა. ყველაფერი, რასაც ვარშავაში ხედავდა, ძალიან მოსწონდა, გატაცებით უცქერდა. ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს სიმხიარულე, ჭაერში უცებ რომ არ გამოჩენილიყვნენ თეთრი ფაფუკი ფიფქები.

— „ი, ო, ა! ჩვენ შორიდან მოვფრინავთ; სულ ეგელაფერს დავფარავთ, გავალამაზებთ დავფლავთ“. ასე მღეროდნენ ფაფუკი ფიფქები და ტრიალებდნენ ჭაერში.

როგორც კი გაიგონეს ჯუჯებმა ნაცნობი ხმები მაშინათვე გაიქცნენ. კიდევაც საშიში იყო: ჯერ ერთი ჯუჯებს ეშინოდათ რომ ფიფქებს არ დაეფლათ ისინი, და მეორე ის, რომ ყველანი მსუბუქად იყვნენ ჩაცმულნი და გაყინვის ეშინოდათ.

დიდხანს დარბოდნენ ჯუჯები ქუჩებში და აქეთ-იქით იყურებოდნენ, თუ სად შეეფარებინათ თავი; მაგრამ ქვის სახლები ისე მრისხანედ უცქერდენ ჯუჯებს თავისი დაკეტილი ფანჯრებით, რომ თავშესაფარის ეოველივე სურვილს უკლავდნენ. ბოლოს ჯუჯებმა დაინახეს დიდი ბაღი, გარშემორტყმულ მაღალი ღობითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, აქ!—დაიყვირა ექიმმა. ჯუჯები საჩქაროთ მივიყვანეთ მას და პირდაპირ ბაღისკენ გაემართნენ.

კარები დაკეტილი იყო, მაგრამ ჯუჯები ერთი მეორეზე მარდათ გადმოვნენ ნახვრეტებში და მალე ბაღში გაჩნდნენ. თოვლი ჭყარავდა ბაღის ყოველ კუთხეს და მოცუნცულე ჯუჯების ფეხებს ქვეშ ხრაშა ხრეში გაჭქონდა.

ჯუჯები სიცივისაგან კანკალებდნენ. საწყლებმა არ იცოდნენ როგორ გამთბარიყვნენ. უცებ მურზილკამ არა ჩვეულებრივის ხმით დაიყვირა.—შეხედეთ ბატონებო, შეხედეთ: სასახლე ვიპოვე.

— სასახლე!?—შეჭვირეს გაკვირვებულმა ჯუჯებმა. იმათ დალლილობაც და სიცივეც დაავიწყდათ და გაექანენ იქითკენ, სადაც მურზილკა იყო. როგორ გაუკვირდათ ჯუჯებს, როდესაც ნახეს, რომ მურზილკამ ბაღის ერთ კუთხეში იპოვა თბილი ფანჩატური, სადაც ზამთრობით ინახავდენ ძალიან ნაზ მცენარეებს. აუწერელი იყო მათი სიხარული, როდესაც გვიმბრის შემწეობით გააღეს კარები და დასხდნენ დასასვენებლად ვარდის და ზამბახის მწვანე ფოთლებს ქვეშ, თითქო გარეთ ზაფხული ეოფილიყოს, და არა შემოდგომა, ყორიანტელი და თოვლი. დიდი ხანია, რაც ჯუჯებს არ სძინებიათ ასე მშვიდად, როგორც იმ ღამეს. მწვანე ფოთლები ნელნელა ქანაობდნენ, თითქოს იმათ ნანას ეუბნებოდენ და ნაზად დახრილები ჩასჩურჩულებდნენ ტკბილ სიზმრებს ცხელ ქვეყნებზე, სადაც პალმები ხარობენ, სადაც ტამარინდების მსხვილ ტოტებზე ქანაობენ მაიმუნები და დამვრებიან ჭრელი თუთიყუშები.

ნ. დიასამიძე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიჟი და მთვარე.

იქმა ჭაში ჩაიხედა
და შიგ მთვარე დაინახა;
გაუოცდა, გაუკვირდა,
ჩაკისკისდა—ხა-ხა-ხა!
    როგორ, ცაზე მოციმციმე,
მოსრიალე, მონარნარე,
ახლა ჭაში ჩავარდნილა
მოკაშკაშე ჩვენი მთვარე?!
    მაშ ცას რაღა ეშველება,
ხომ მოიცავს უკუნეთი,
უიმისოდ ხომ ვერ გასძლებს
ველარც ზღვა და ვერც ხმელეთი?!
    ამას ასე ვერ დავტოვებ,
უეჭველად უნდა შველა:
მოდი, ჭიდან მთვარეს ჩანგლით
ამოვზიდავ ნელა-ნელა.
    თქვა და კიდეც შეასრულა
ნაოქვამი და განზრახული;
თოკი დაუპირდაპირა,
სადაც იყო მთვარის გული.
    ამოსწია ვერ ერევა,
გული მეტად გაუჯავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცადა კიდევ,—გაწყდა თოკი
და გულ-ალმა გადავარდა.
მაღლით მთვარემ დაანათა,
სიხარულად დაიცალა:
,,მთვარე ცაზე ამისვრია,
ეოჩალ ბიჭო, ბარაქალა!
აბა ღონეც ამას ჰქვია,
ამისთანა უნდა ძალა''!—
თქვა და სამჯერ გადავიდა
მთვარის შუქზე ეირაშალა.

**შიო-მღვიმელი.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თეთრი ვირი.

(ხუმრობა.)

საწვრილმანოოო!.. საწვრილმანოოო!..—ჰყვიროდა აბრამა—ურია ქუჩა-ქუჩა და თან ჰაცქე, ჰაცქეთი და ჯოხის ქნევით თავის თეთრ ვირს მიერეკებოდა ვირს ზურგზე საფაჭრო—საქონლით საფსე ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული. ეს ვირი იყო აბრამას მოძრავი დუქანი, იმისი ურემი, იმისი მსახური და საქონლის მზიდავი და ამიტომ აბრამა თავის ვირს ძალიან უყვარდა და ულოლიავებდა; თავის დროზე სწმენდდა და თავის დროზე ბლომად თივას დაუყრიდა ხოლმე. მიელი თბილისის ქუჩები სულ შემოვლილი ჰქონდა აბრამას თავის ვირით საწყალ ვირს იმოდენა საწვრილმანოს აჰკიდებდა ხოლმე, რომ სულ წელში იზნიქებოდა და ბატარა ფეხებს თბილისის ქვიან ქუჩებში ძლივს-ღა ადგამდა.

აბრამა მთელი თავის ოჯახობით ჩუღურეთში ერთ მოქალაქის, სახელად ონოფრეს სახლში ცხოვრობდა; თავისი ვირიც იქვე ეზოში ოთახის პირდაპირ ხის ქოხურაში ჰყავდა ხოლმე ღამღამობით დაბმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრამას სახლის პატრონი ინოფრე მხიარულად
დელი და ძალიან მოხერხებული კაცი იყო. კარგსა ჭამდა,

კარგსა სვამდა და კარგად იცვამდა. ოჯახში ცოლის მეტი
შესანახი არავინა ჰყავდა. თავის სახლის შემოსავლითა
ცხოვრობდა და მთელ დღეებს უსაქმოდ ატარებდა.

ერთ დღეს აბრამა ცოტა გვიან დაბრუნდა შინ. ვირზე
გადაკიდებული საპალნე სუბუქად გადმოიღო, ფალანი მოხსნა;
ვირი კარგად გაასუფთავა, ეურები და კუდი გაუწია, მერე
ქოხურაში შეიყვანა და ბალიმად თივა დაუყარა. თან სულ
ბაიათებსა ღიღინებდა და როგორღაც მხიარულად იყო. ეტეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, რომ აბრაამს ამ დღეს კარგი მოგება ეშოვნა; მერე მოიკვეცა ტახტზე და ფულს თვლა დაუწყო. სანამ აბრაამა

თავის საქმეში იყო გართული, იმისმა ცოლმა ხელდახელ ვახშამი მოამზადა. მერე დასხდნენ, ივახშმეს და შემდეგ დაიძინეს; დაღლილ აბრაამს მალე დაეძინა და ხვრინვა ამოუშვა.

ამავე საღამოს ონოფრე ცოტა გადაკრულში მოვიდა შინ; აბრაამს ოთახის წინ რომ გაიარა, მძიმე ხვრინვა შემოესმა; მიხვდა, რომ აბრაამ ღრმა ძილში იყო წასული; უცბად რაღაც აზრმა გაურბინა თავში; მიიხედ-მოიხედა, და რა ნახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეველას ეძინა, მიეიდა, აუშვა ვირი, ჩუმად ქუჩაში გამოიეანა, შეჯდა და ნავთლუხისაკენ ერთ თავის მეგობართან გასწია. მიიეანა ვირი და სთხოვა ორიოდე დღე შეენახა, თვითონ ისევ შინ დაბრუნდა, დაწვა და არხეინად დაიძინა.

გათენდა დილა. აბრამამ გაიხედა, და ვირი რო ველარ დაინახა. წამოხტა, სახჭაროდ ჩაიცვა, შევარდა ქოხურაში, მაგრამ ვირი იქ არ დახვდა. იტაცა შუბლში ხელი, გამოვარდა ქოხურიდან. მთელი მეზობლები შეძრა; ახლო-მახლო ეზოებშიაც ბევრი ეძება, მაგრამ თავისი თეთრი ვირი ველარსად იპოვა. მთელი ოჯახი დანაღვლიანდა და ვირსა ჰგლოვობდნენ, მაგრამ რაღა გაეწეობოდა: საწვრილმანოს რამდენსაც მოერეოდა, იმდენს წამოიკიდებდა ხოლმე ზურგზე და ისე დაჰქონდა ქალაქის ქუჩა-ეზოებში და თანა ეკვიროდა: საააწვრილმანოოო!..

ონოფრე მეორე დღესვე ნავთლუხში წავიდა და ის თეთრი ვირი უბრალო საღებავით შავად შეღება. თან თავის ამხანაგს ეველაფერი უამბო და დაარიგა, რომ მე იმ ურიას აქ მოვიევან; ეს ვირი ვითომ შენია, მიჰყიდე და ერთი კარგად ეიქეიფოთ მე და შენაო.--ონოფრე შინ რომ დაბრუნდა, აბრამას უთხრა, რომ ერთ ჩემ ნაცნობს თავრიზული ჯიშის მოზრდილი ღონიერი ვირი ჰყავს, და თუ გინდა მოველაპარაკები—შეიძლება გაეიდოსო. მხოლოდ ის ოხერი ძალიან შავია, და ვაი თუ არ მოგეწონოს, შენი ვირი თეთრი იეო, და იმაზედ გქონდა თვალი შეჩვეულიო.

— ეჰ, მე დალოცვილო, ოღონდ-კი მუხლიანი იეოს, და ფერს რა უშავს, თორემ ჩემმა საწვრილმანომ წელი მომწყვიტა და აღარ ყიცი რა ვქნა. თუ ღმერთი გრწამს, წავიდეთ, მაეიდვინე, და „მაღარიჩს“ გზაშიეე ჩამოვასხამ, რჯულის მადლმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან კარგი, — უპასუხა ონოფრემ, — მე დღესვე ვნახავ
იმ კაცს, მოველაპარაკები, და რა პასუხსაც მომცემს, შეგატ-
ყობინებ.

მეორე დღეს ონოფრე კიდევ ნავთლუხში წავიდა; ვირს
ცოტა კიდევ აქა-იქ, საცა საჭირო იყო, შავი საღებავი წა-
სცხო; ამხანაგიც გააფრთხილა და მერე აბრამაც წაიყვანა
ვირის საყიდლად.

ბევრი ლაპარაკის და ვაჭრობის შემდეგ, ძლივს ოთხ თუმ-
ნად მორიგდნენ. გახარებულმა აბრამამ ვირს მაშინვე თოკი
მოაბა და წამოიყვანა შინ. ონოფრეც თან გამოჰყვა და ავლა-
ბარში „ძაღარიჩი“ დალიეს

აბრამამ ვირი რო მოიყვანა შინ, ცოლშვილი შემოეხვია
და სიხარულით ვირს შესცქეროდენ, მხოლოდ ძალიან სწყინ-
დათ, რატომ ესეც თეთრი არ არისო. მერე შეაგდეს ქოხურა-
ში, დააბეს და თივა დაუყარეს, კარები-კი გამოხურა აბრა-
მამ და ჩაკეტა.

მეორე დღეს აბრამამ ახალ ვირს საწვრილმანო აჰკიდა და
თბილისის ქუჩებს გაუდგა, თან იძახდა: საააწვრილმანოოო!
საააწვრილმანოოო!..

ის დღე ცოტა ღრუბლიანი იყო. მერე და მერე უფრო
მოიქუშა; რამდენჯერმე გაიელვა და წვიმაც წამოვიდა. აბრა-
მას ამისთანა წვიმაში ბევრჯელ უვლია, ამიტომ ახლაც თა-
ვის საწვრილმანოს ტომარა გადააფარა და განაგრძობდა გზას.
მაგრამ წვიმამ უფრო წამოუშინა, დამსხვილდა, და ამიტომ
აბრამამ ვირიანად ერთ გადმოკიდებულ აივნის ქვეშ შეაფარა
თავი. აქ კარგა ხანს იყვნენ, და აბრამამ შეხედა ვირს და
გაოცდა: ვირის ყურები და თავი, გავა და ფეხები, თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან სუნდებოდა; ფეხებზე წურწურით შავი ბალიბ-ბალიბ ჩამოსდიოდა და ვირი თითქოს თეთრდებოდა. აბრამას ვერ

გაეგო და ვერ მიმხვდარიყო, თუ რად სუნდებოდა იმისი ვირი, რომელიც დილას შავად ბზინავდა. გავაზე ხელი გადაუსო და სულ შავი წყალი ჩამოსწურა, თვითონაც ხელი გაუშავდა. აბრამა ამაზე უფრო გაშტერდა, ამან უფრო გაოცა. იმას სვარსეთიც ჰქონდა მოვლილი, ოსმალეთშიაც ეოფილიყო, საქართველოც დაევლო, მაგრამ შავი ვირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათეთრება კი ჯერ არც გაეგო და არც ენახა. წვეროვანს გადაღებას აღარ ბოუცადა, გაიგდო წინ ვირი და ჩქარის ნაბიჯით წავიდა სახლისაკენ. მისვლის უმალვე მოხსნა საწვრილმანო, მერე ფალანიც. დაუნა წვიმის ქვეშ და მოკლე, რბილი ცოცხით სულ გაწმინდა ვირი. შეხედა, და თავისი ვირი-კი იცნო; დაუძახა მაშინვე ონოფრეს და უთხრა: კაცო, შენ რომ ვირი მაუიდვინე, აი რა მოუვიდა წვიმაში, სულ

გათეთრდა; დავაცქერდი, და ჩემი დაკარგული ვირი კი აღმოჩნდა. აი ნიშანიც!—და მიუთითა გულზე, სადაც მართლა ხელის-გულის-ოდენა შავი ბალნი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტა ვინ ოსერმა მომპარა?! ვინ მაზარალა ეროვნულ-მომაწყვეტინა წელი ამ დღეებში საწვრილმანოს თრევით?!— ეუბნებოდა აბრამა ონოფრეს.

ონოფრე ჯერ კი თავს იმაგრებდა, მაგრამ მერე წასქდა სიცილი და უთხრა:—ჩემო აბრამ, შენი ვირის ფულით მე და ჩემმა ამხანაგმა ნავთლუხის ბაღებში ვიქეიფეთ და შენი და შენი ძველი თეთრი ვირის და ახალი შავი ვირის სადღეგრძელოები დავლიეთ.

აბრამამ ჯერ კი ბევრი იჯავრა, მაგრამ რადას ეაააწეობდა. როცა დამშვიდდა, თვითონაც ბევრი იცინა და ონოფრეს არა ერთხელ ეტეოდა ხოლმე:—მოხერხებული კაცი ხარ, ონოფრე, მოხერხებული! რაც შენ მე საქმე მიეავი, იმას მოლა მასრადინაც ვერ მოასწრებდა; მე ასეთი ამბავი ზღაპრადაც არ გამიგია და შენ ეშმაკმა გაფიქრებინა?!—

მ. იანქოშვილი.

ტფილისის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ნაკადულის 1 და 2 №-ში მოთავსებულ გამოცანებისა, უჯრებისა და რებუსების ახსნა:

**გამოცანები:** 1. ლოკოკინა. 2. ძაღლი. 3. ხახვი.

**უჯრები:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა | თ | ი | კ | ა | ტ | ა |

**რებუსები:** 1. ზამთარი, 2. ნალი, 3. ცხრილი, 4. ვარდი ყვავილია, 5. კატა თაგვის მჭამელია.

საქართველოს სახელმწიფო თბილისი

სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის რედაქტორობით გამოვიდა და იყიდება შემდეგი საბავშვო ჟურნალები და წიგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მცირეწლოვანთათვის.

1. „ნაკადული“ 1921 წ. №№ 1, 2, 3, 4, 5 თითო წიგნი . . . . . 8.000 მ.
2. „ნორჩი ძალა“ კრებული . . . . . 10.000 „
3. „სამი ამბავი“—ლექსები შიო მღვიმელისა. 8.000 „
4. „კოკროჭინა“—დ. დონდუასი . . . . . 5.000 „
5. „ბელა ბეკეკა“ . . . . . 5.000 „
6. „შემოდგომა“—ფერად სურათებიანი წიგნი 45.000 „
7. „ნაკადული“ 1922 წ. № 1, 2 თითო წიგნი 8.000 „
8. „დედაბერი, ტურა და მელია კუდი გძელია“ ფერადი სურათებიანი წიგნი . . . . . 50.000 „
9. „ბავშებს“—ლექსთა კრებული გ. ქუჩიშვილისა . . . . . 15.000 „
10. ტყის ზღაპარი“—მ. სიბირიაკისა, თარგ. ლ. იმნაძისა . . . . . 15.000 „

## მოზრდილთათვის.

11. „ჯეჯილი“—1921 წ. № 1 . . . . . 10.000 „
12. „თავისუფალ ბავშთა“ სიმღერები—ლექსთა კრებული . . . . . 2.000 „
13. „ქართ. მოძრავი თამაშობანი“—შედგენილი გ. მერკვილაძის მიერ . . . . . 25.000 „
14. „ტროადის ომი“—ალ. მიქაბერიძისა . . 70.000 „
15. „ნოტები“—საბავშო ინტერნაც. სიტყვა—ხმა შეწყობილი ფოცხორაშვილის მიერ . . . 10.000 „
16. „ჯეჯილი“ 1922 წ. № 1 . . . . . 10.000 „

## იბეჭდება და ჩქარა გამოვა.

1. იგავ-არაკნი—ალ. მირიანაშვილისა . . .
2. ტყის სურათები—შ. მღვიმელისა . . . .
3. ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი . .
4. საბავშო პიესათა კრებული . . . . . .
5. ლურჯი ფრინველი,—მ. მეტერლინკისა .

---

მისამართი: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5 სახალხო განათლების კომისარიატი. სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1922 წელს

გამოვა საქმაწვილო დასურათებული ჟურნალები

მკითხველოვ. „ნაკადული“ მე-XVIII წ.

მოზრდილთათვის „ჯეჯილი“ მე-XXXIII წ.

ჟურნალები გამოდის სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით.

**ხელის მოწერა მიიღება ორივე ჟურნალზე ერთველ თვიურად**

**„ნაკადული“—8 ათასი მ. „ჯეჯილი“—10 ათასი მანეთი.**

მისამართი: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, სახალხო განათლების კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია.

**რედაქტორი:** სარედაქციო კოლეგია.

ნ. დ. ს. ც. თბილისი, 1922 წ. № 356 ტირაჟი 3000